თაობა თაობისთვის			
სახელწოდება: **თაობა თაობისთვის**	ტიპი: საგანმანათლელო, შემოქმედებითი, სოციალური/საზოგადოებრივი	მიმართულება: სოციალური, სამოქალაქო, პიროვნული	დაწყების თარიღი: დასრულების თარიღი:

პროექტის აღწერა

სკოლაში ჩატარებული კვლევების მიხედვით მოსწავლეების 37% თვლის რომ სკოლაში არის სტერეოტიპები სოციალურ მდგომარეობაზე, სქესზე, რელიგიასა და წარმოშობაზე. მოსწავლეების 5% კი თვლის რომ სკოლაში ვხდებით ბულინგის შემთხვევებს. თანამედროვე სამყაროში დიდია სოციალური ქსელების როლი, რაც ზეგავლენას ახდენს ბავშვების თვითშეფასებაზე და პროდუქტიულობაზე. ციფრული სამყარო არ მოითხოვს თანაგრძნობას, თანამშრომლობას და რეალურ ურთიერთობებს, რაც სოციალურ უნარების ჩამოუყალიბებლობას და ემოციურ სიცარიელეს იწვევს. რეალური სოციალური ურთიერთობების ნაკლებობა მოსწავლეს აგრესიულს, იზოლირებულს და ჩაკეტილს ხდის. ბავშვებს არ ასწავლიან ცხოვრებისეულ ღირებულებებს, აქცენტს მხოლოდ აკადემიურ მიღწევებზე აკეთებენ. არ აქვთ სივრცე, სადაც თავს დაფასებულად იგრძნობენ ან გააკეთებენ რაიმეს აზრიანად, რაც იწვევს მათ აპათიას, უმოქმედობას და უარყოფითი ქცევებისკენ მიდრეკილებას.

პროექტის მიზანია მოსწავლეებმა შეძლონ თავის საზოგადოების წევრად აღქმა, ეფექტური ურთიერთობა თანატოლებთან, მასწავლებლებთან და გარშემომყოფებთან. მათ უნდა განივითარონ ემოციური და ფუქნციური უნარები. უნდა განუვითარდეთ თვითაღქმა, უნიკალურობა, თვითშეფასება და შინაგანი მოტივაცია. ეს განავითარებს სოციალურ ჩართულობას, შემოქმედებითობას, გუნდურ მუშაობას. პროექტი ხელს შეუწყობს აქტიური მოქალაქეობრივი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, საზოგადოებრივი პროცესების უკეთ გაანალიზებას, თვითშემეცნებას, ინდივიდუალიზმს და პიროვნულ განვითარებას. აუცილებელია სკოლის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, რათა ბულინგის, სტერეოტიპების და ძალადობის საკითხებზე ჩატარდეს კვლევა და დაიგეგმოს ინტერაქტიული აქტივობები, რომლის საშუალებასაც ეს პროექტი გვაძლევს. ქმედითი თანამონაწილეობის გზით მოსწავლეებში ემპათიის, სოლიდარობის და სოციალ-პიროვნული უნარების განვითარედება, რომელიც მათ დაეხმარებათ კონფლიქტების გადაჭრის გზების ძიებაში, თვითშეფასების გაუმჯობესებაში. პოზიტიური სასკოლო კლიმატი დადებითად იმოქმედებს აკადემიურ მიღწევებზეც. ეს ხელს შეუწყობს სკოლაში სამართლიანობის, ტოლერანტობის, თანასწორობის განმტკიცებას. პროექტი გვაძლევს სხვადასხვა ორგანიზაციებთან/თემის წევრებთან თანამშრობლობის საშუალებას, რაც გაზრდის სკოლის დადებით იმიჯს და ცნობადობას. მოსწავლეებს კი შეუქმნის გარემოს, რომელიც მათ თავიანთი პოტენციალის გამოვლინების საშუალებას მისცემს.

მიზანი	**ამოცანა**	**მოსალოდნელი შედეგი**	**რისკები**
მოსწავლეებში ემპათიის, სოლიდარობის და სოცალურ-პიროვნული უნარების განვითარება.	№1 მოსწავლეებში ემპათიის, სოლიდარობის, ტოლერანტობის შესახებ ცნობიერების ამაღლება საგანმანათლებლო, ინტერაქტიული საშუალებებით.	მოსწავლეებმა გაიაზრეს ემპათიის, სოლიდარობის, ტოლერანტობის მნიშვნელობა. გააცნობიერეს რატომ არის ეს ღირებულებები მნიშვნელოვანი საზოგადოებაში, სკოლაში და პირად ურთიერთობებში. შეძლეს საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი მაგალითების მოყვანა, გააზრება და შედარება.	1 ქულა საშუალო რისკ ფაქტორი - ინფორმაციის მიწოდებისას ფრონტალური/სალექციო მეთოდების სიხშირე, ნაცვლად ინტერაქტიური, დიკსუსიაზე დაფუძნებული აქტივობებისა.
	№2 მოსწავლეებში ემპათიის, სოლიდარობის, ტოლერანტობის შესახებ ემოციურ/ქცევითი დამოკიდებულების განვითარება საგანმანათლებლო, ინტერაქტიული საშუალებებით.	მოსწავლეებს ჩამოუყალიბდათ სოციალური უნარ-ჩვევები. თავი აღიქვეს საზოგადოების წევრად, ჩამოაყლიბეს ეფექტური ურთიერთობა თანატოლებთან, მასწავლებლებთან და გარშემომყოფებთან. განუვითარდათ ემოციური და ფუნქციური უნარები. გაეზარდათ შინგანი მოტივაცია,	3 ქულა მაღალი რისკ ფაქტორი- მოსწავლეთა მცირე ნაწილის ჩართულობა, გამოწვეული დროის უქონლობით ან/და შინაგანი მოტივაციის ნაკლებობით.

				ჩამოუყალიბდათ სამოქალაქო თვითშეგნება.		
განხორციელების გზები						
აქტივობა	**ინდიკატორი**	**სამიზნე აუდიტორია**	**განხორციელების პერიოდი**	**პასუხისმგებელი პირი/სტ.ერთეული**	**საჭირო რესურსი**	**შესრულების სტატუსი**
1.1. **ვიდეორგოლი** მენტალურ ჯანმრთელობაზე	ვიდეორგოლმა დააგროვა 30-ზე მეტი მოწონება. მოსწავლეებმა ინფორმაცია საინტერესო გზით გადმოსცეს. ვიდეოში გაჟღერებული იყო 5-ზე მეტი ფაქტი.	სოც.ქსელების მომხმარებლები.	06.10	კლუბი ,,Res Publica“	ტექსტი, მოსწავლეები, მიკროფონი.	
2.3.1.2 **,,თვითობა“ ,,ფიქრის ხმა“** მოწვეული სტუმარი/ფსიქოლოგი. მენტალური ჯანმრთელობა	აქტივობას დაესწრო 25-ზე მეტი ადამიანი მაინც. მშობლებმა და მოსწავლეება დასვეს კითხვები, რომელთა რაოდენობა აღემატებოდა 10 კითხვას მაინც. სტუმრის/ფსიქოლოგის რჩევები და პასუხები მსმენელისთვის იყო ამომწურავი. პროცესი იყო აქტიური და ინფორმაციული .	საშუალო და საბაზო საფეხურის მოსწავლეები.	07.10	კლუბი ,,Res Publica“		
2.2 . **ვიდეოგროლი** ,,რა გაგრძნობინებს თავს კარგად?“	ვიდეორგოლმა დააგროვა 35-ზე მეტი მოწონება. ვიდეოში გამოთქმული აზრები იყო გასაგებად ჩამოყალიბებული. ვიდეოში მონაწილეობა მიიღო სულ ცოტა 10 ადამიანმა მაინც.	სოც. ქსელების მომხარებლები, სასკოლო საზოგადოება.	08.10	კლუბი ,,Res Publica“	მოსწავლეები, მიკროფონი.	

2.1. ვიდეორგოლი - **„გაიღიმე“**	ვიდეორგოლმა დააგროვა 35-ზე მეტი მოწონება. ვიდეომ დაიმსახურა დადებითი გამოხმაურება. ვიდეოში მონაწილეობა მიიღო სულ ცოტა 1ო მოსწავლემ მაინც.	სასკოლო საზოგადოება.	09.10	კლუბი ,,Res Publica“	85x85x35 მმ ზომის ფურცლები, კალამი, მოსწავლეები.	
2.4. ,,წერილი მასწავლებელს“	მოსწავლეებმა გამოამჟღავნეს მასწავლებლების მიმართ დამოკიდებულება.	სასკოლო საზოგადოება.ს	ოქტომბერი	კლუბი ,,Res Publica“		
2.5. დისკუსია ,,როგორი უნდა იყოს მასწავლებელი“	დისკუსიაში ჩაერთო სულ ცოტა 15 მოსწავლე მაინც. მოსწავლეემა თავისუფლად გამოხატეს აზრი, რომელიც განმტკიცემული იყო მყარი არგუმენტებით.	საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები.	ოქტომბერი	კლუბი ,,Res Publica“		
2.6. **Halloween** - გარემოს მორთვა	სასკოლო გარემო სრულიად შეესაბამებოდა თემატურ კონტექტს. მოსწავლეებმა გამოხატეს მონაწილეობის სურვილი და აქტიურად ჩაერთვნენ სამუშაო პროცესი. განივითარეს ფუქნციური და სოციალური უნარები.	სასკოლო საზოგადოება.	10.10 – 30.10	კლუბი ,,ორფეოსი“		

2.7. **ვიდეორგოლი** - გამიკითხვა ,,საშიში ფილმი ან პერსონაჟი“	ვიდეორგოლმა დააგროვა 35-ზე მეტი მოწონება. ვიდეოში გამოკითხული იყო სულ ცოტა 7 ადამიანი მაინც. დასმული იყო სულ ცოტა 10 კითხვა მაინც.	სოც. ქსელების მომხარებლები, სასკოლო საზოგადოება.	28.10 – 31.10	კლუბი ,,Res Publica“		
1.3. ვიდეორგოლი - **Halloween** ინფორმაციული ტიპი;	ვიდეორგოლმა დააგროვა 35-ზე მეტი მოწონება, ვიდეოში წარმოდგენილი იყო 5-ზე მეტი ფაქტი მაინც.	სოც. ქსელების მომხარებლები.	27.10	კლუბი ,,Res Publica“		
2.8. სკოლა თაობის **,,ტკბილეულის სამფლობელო”**	მოსწავლეებმა გამოთქვეს მონაწილეობის სურვილი. გაკეთდა სულ ცოტა ტკბილეულის 20 შეკვრა მაინც. მოსწავლეებმა დაურიგეს საზოგადოების 20 წევრს მაინც.	საზოგადოების/თემის წევრები.		კლუბი ,,Res Publica“. კლუბი ,,ორფეოსი“		
2.9. **,,ფანტაზია ჩრდილებში“** კოსტუმირებული წვეულება	მოსწავლეებმა გამოიყენეს თავიანთი შემოქმედებითი უნარები და გამოეწყეს თავიანთ კოსტიუმებში. კოსტიუმებს შორის შეირჩა, ხმის მიცემის ხერხით, გამოვლინდა გამარჯვებული.	სასკოლო საზოგადოება.	31.10	კლუბი ,,ორფეოსი“		
1.4. ფილმი **,,The breadwinner” , ,,Come and See”, ,,For Sama**”	ფილმის ჩვენებას დაესწრო სულ ცოტა 15 ბავშვი მაინც. მოსწავლებმა შეძლეს	საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები.	ნოემბერი	კლუბი ,,Res Publica"		

	ფილმში ნაჩვენები მოვლენების ისტორიულ კონტექსტთან დაკავშირება და გამოხატეს ემპათია პერსონაჟების მიმართ.					
1.5. დისკუსია **,,ვკარგავთ თუ არა ეროვნულ იდენტობას?“**	დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო სულ მცირე 15 ადამიანმა. დისკუსიის დროს მოსწავლეებმა პატივი სცეს ერთმანეთის აზრს, შეძლეს საკუთარი აზრის ღიად და თამამად დაფიქსირება და ლოგიკური არგუმენტებით გამყარება.	საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები.	ნოემბერი	კლუბი ,,Res Publica“		
2.10. **იმიტირებული სასამართლო პროცესი** - ტურიზმი და ეკონომიკური განვითარება	იმიტირებულ სასამართლო პროცესში ჩაერთო სულ მცირე 15 მოსწავლე. მოსწავლეებმა გამოვლინეს პასუხისმგებლობის, თანამშრომლობის და არგუმენტირბეული მსჯელობის უნარები.	საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები.	ნოემბერი	კლუბი ,,Res Publica“		
2.11. **ვინ ვარ მე?** - მსოფლიო ლიდერები, ომი	მონაწილეობა მიიღო სულ მცირე 10 მოსწავლემ. წარმოდგენილი იყო 15-ზე მეტი ისტორიული პერსონა. მოსწავლეებმა შეძლეს სწორი კითხვების	საბაზო საფეხურის მოსწავლეები.	ნოემბერი	კლუბი ,,Res Publica“		

	დასმა, მსჯელობა და აზრის თავისუფლად გამოხატვა.					
2.12. **ვიდეორგოლი** - რა არის ჩემთვის თანასწორობა?	ვიდეორგოლმა დააგროვა 35-ზე მეტი მოწონება. მოსწავლეებმა შეძლეს აზრის თამამად და გასაგებად გადმოცემა.	დაწყებითების და საბაზო საფეხურის მოსწავლეები.	ნოემბერი	კლუბი ,,Res Publica“		
2.13. **ნახატი** - რა არის ჩემთვის მშვდიობა?	მოსწავლეებმა გაიაზრეს კითხვის მნიშვნელობა და შეძლეს აზრის და გრძნობის ფურცელზე, ნახატის სახით გადმოტანა.	დაწყებითების მოსწავლეები.	ონოემბერი	კლუბი ,,Res Publica“		
2.14. დისკუსია **,,ადამიანის უფლებები დღეს”**	დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო სულ მცირე 15 ადამიანმა მაინც. მოსწავლეებმა შეძლეს მიღებული ცოდნის გამოყენება, არგუმენტირებული მსჯელობა და სხვისი აზრის პატივისცემა.	საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები, მასწავლებლები.	დეკემბერი	კლუბი ,,Res Publica“		
2.15. გამოფენა-გაყიდვა ,,თაობა **თაობისთვის”**	აქტივობაში ჩართული მონაწილეების კმაყოფილება მზარდია. კლუბის მიმართ გაიზარდა ინტერესი. ხელი შეეწყო ემოციური და ქცევითი დამოკიდებულების ხელშეწყობას. ყოველდღიურ პრაქტიკაში	სასკოლო საზოგადოება, დაინტერესებულები.	01.10 -	კლუბი ,,Res Publica“, კლუბი ,,ორფეოსი“.		

	გაითვალისწინეს საკითხები, რომლებიც სიღარიბის დაძლევას და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას უკავშირდება.					
2.16. **„სიკეთის კალათა”**	მოსწავლეებს განუვითარდათ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა. აქტივობას საზოგადოების მხრიდან მოჰყვა პოზიტიური დამოკიდებულება, შეფასება. დახმარება მიემართა არანაკლებ 5 შეჭირვებულ ოჯახს.	სასკოლო საზოგადოება, მოწყვლადი პირები.	დეკემბერი	კლუბი ,,Res Publica“, კლუბი ,,ორფეოსი“.		
2.17. ვიდეორგოლი - **„თბილი სიჩუმე“**	ვიდეორგოლმა დააგროვა 35-ზე მეტი მოწონება. ვიდეოში აღბეჭდილია ჩახუტების კადრები, რომელმაც საზოგადოებისგან თბილი, დადებითი გამოხმაურება დაიმსახურა.	სოც. ქსელის მომხარებლები, სასკოლო საზოგადოება.	იანვარი	კლუბი ,,Res Publica“		
1.6. ვიდეოგროლი - **რა ხდება ჩახუტების დროს?**	ვიდეორგოლმა დააგროვა 35-ზე მეტი მოწონება. ვიდეოში წარმოდგენილი იყო 5-ზე მეტი ფაქტი. ფატქები გადმოცემული იყო საინტერესო ფორმით.	სოც. ქსელის მომხმარებლები.	იანვარი	კლუბი ,,Res Publica“		

2.18 . **ვიდეოგროლი** - ,ვის ჩაეხუტებოდით ახლა?“	ვიდეორგოლმა დააგროვა 35-ზე მეტი მოწონება. გამოიკითხა სულ ცოტა 7 მოსწავლე მაინც. მოსწავლეებმა შეძლეს აზრის თავისუფლად და გასაგებად გამოხატვა.	დაწყებითები საფეხურის მოსწავლეები, სოც. ქსელების მომხამრებლები.	იანვარი	კლუბი ,,Res Publica“		

პროექტის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება

პროექტის განხორციელების მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას პროექტით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას, ესე იგი შესრულებული საქმიანობის ხარისხის კონტროლს. შეფასება ადგენს ის აქტივობები რომლებიც შესრულდა, რამდენად კარგად შესრულდა და აკმაყოფილებს თუ არა დადგენილ კრიტერიუმებს. ასევე შეფასების შედეგად გაანალიზდება შეუსრულებელი ან ნაწილობრივ შესრულებული აქტივობები. ამ ინფორმაციის ანალიზი გვეხმარება ახალი პროექტის დაგეგმვა/განხორციელების პროცესი უკეთესად წარმართოს.

პროექტის მონიტორინგის და შეფასების პროცესის აღწერა:

პროექტის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს დრაივზე გაზიარებულ პროექტის ფაილს და საქაღალდეს, სადაც გროვდება მტკიცებულებები. ფაილზე წვდომა აქვს პროექტის ავტორებს, დირექტორს, ხარისხის ჯგუფის ყველა წევრს, PR მენეჯერს და პროექტის შესაბამისი აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს.

პროექტის ავტორების გადაწყვეტილებით, გაზიარებულ ფაილზე წვდომა შეიძლება მიეცეს სხვა პირ(ებ)საც. დრაივზე განთავსებული პროექტის ფაილზე პასუხისმგებელი პირი არის სკოლის PR მენეჯერი. რომელიც ადმინისტრირებას უწევს დრაივზე ინფორმაციის დროულ ასახვას.

პროექტის აქტივობების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირები ან/და სკოლის PR მენეჯერი;

- შეიყვანენ გაზიარებულ ფაილში ინფორმაციას აქტივობების შესრულების სტატუსის შესახებ. (შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა, ვერ შესრულდა, შეჩერდა);
- გაზაირებულ საქაღალდეში ტვირთავენ აქტივობის შესრულების დამადასტურებელ მტკიცებულებებს.

პროექტის ავტორ(ებ)ი შედიან და ამოწმებენ დრაივზე განთავსებულ ინფორმაციას/მტკიცებულებებს, ასევე აკვირდებიან პროექტის განხორციელების პროცესს, რომლის დროსაც ხდება აქტივობების განმხორციელებელებზე ინდივიდუალური უკუკავშირის მიწოდება მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით.

პროექტის დასრულების შემდეგ პროექტის ავტორი/პროექტზე მომუშავე ჯგუფი აფასებს პროექტს, ესე იგი აანალიზებს პროექტის განხორციელების პროცესს და პროექტის შედეგებს და წერს პროექტის ანგარიშს. ანგარიში საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით განთავსდება სკოლის ვებგვერდზე ან/და სოციალური მედიაში ან/და საჯარო ღონისძიებებზე(სკოლის გაერთიანებული შეხვედრა) მოხდება მისი წარდგენა.

პროექტის შესრულების ანგარიში

განხორციელდა პროექტის მონიტორინგი, შეგროვდა მონაცემები პროექტით განსაზღვრული აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით. მონაცემების შეგროვების შემდეგ განხორციელდა პროექტის შეფასება, რაც გულისხმობს შეგროვებული ინფორმაციის შინაარსობრივ ანალიზს. ესე იგი გაანალიზდა/პასუხი გაეცა კითხვებს:

- რამდენად იქნა მიზანი და ამოცანები მიღწეული?
- რამდენად ზუსტად პასუხობს სასკოლო საზოგადოების საჭიროებებს შედეგები?
- რამდენად ეფექტიანი იყო განხორციელების პროცესი (განხორციელებული აქტივობები რამდენად კარგად შესრულდა და აკმაყოფილებს თუ არა კრიტერიუმებს)?
- რა ძირითადმა მიზეზებმა გამოიწვია ამოცანების მიუღწევლობა/აქტივობების ვერ განხორციელება (არსებობის შემთხვევაში)?
- გაგრძელდება თუ არა ის სარგებელი, რომელიც მიზნის განხორცილებას მოჰყვა?
- რამდენად შეიძლება დაფიქსირებული გავლენა გრძელვადიანი იყოს, რა შეიძლება გაკეთდეს მიღწეული შედეგების მდგრადობისთვის?

ამ პროცესების გავლის შედეგად შეიქმნა პროექტის შესრულების ანგარიში.

აქედან დაიწყება პროექტის შესრულების ანგარიშის აღწერა.....